გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 224

2023 წლის 8 დეკემბერი

ქ. გორი

ქ. გორში, ჭავჭავაძის გამზირი №22-ის და რუსთაველის ქუჩა №67-ს მიმდებარედ ამკრძალავი საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ

ქალაქ გორში, რუსთაველის ქუჩის მონაკვეთი ჭავჭავაძის გამზირიდან 9 აპრილის ქუჩამდე სიგანეში წარმოადგენს ვიწრო მონაკვეთს, აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარ სამმართველოსთან ერთად და მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ჭავჭავაძის გამზირიდან სამხრეთით რუსთაველის ქუჩაზე აიკრძალოს ავტოტრანსპორტის შესვლა და ჭავჭავაძის გამზირი №22-ის მიმდებარედ დაიდგას ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.18.1-„მარჯვნივ მოხვევა აკრძალულია", ხოლო რუსთაველის ქუჩა №67-ის მიმდებარედ ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.1-„შესვლა აკრძალულია".

მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ჭავჭავაძის გამზირიდან სამხრეთით რუსთაველის ქუჩაზე აიკრძალოს ავტოტრანსპორტის შესვლა და ჭავჭავაძის გამზირი №22-ის მიმდებარედ დაიდგას ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.18.1-„მარჯვნივ მოხვევა აკრძალულია", ხოლო რუსთაველის ქუჩა №67-ის მიმდებარედ ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.1-„შესვლა აკრძალულია".

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

1. ქ. გორში, ჭავჭავაძის გამზირი №22-ის მიმდებარედ დაიდგას ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.18.1-„მარჯვნივ მოხვევა აკრძალულია".
2. ქ. გორში, რუსთაველის ქუჩა №67-ის მიმდებარედ დაიდგას ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.1-„შესვლა აკრძალულია".
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**